სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 21 0000376918

20/04/2021

„პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის №175 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადდეს უქმე დღეები 2021 წლის 4 მაისიდან 2021 წლის 12 მაისის ჩათვლით.
2. უქმე დღეების გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი კორექტირება მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში.
3. სწავლება და შეფასება განხორციელდეს კორექტირებულ სასწავლო გეგმების შესაბამისად.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).
5. ბრძანება, საჯარო გაცნობისათვის, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე